



სვეტიცხოველი

გამოიცემა სრულიად საქართველოს საკათოლიკოსოს საბჭოს მიერ თვეში ორჯერ.

შინაარსი. ოფიციალური განყოფილება.

მათი უწმიდესობის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის კრიონ მგორისა:— გუჯარი საქართველომს ურფენული უნიღობის მიმართ, გუჯარი საქართველომს ეკლესიის სამწესობადოში, ეპისკოპოები აღმოსავლეთის პატრიარქის მიმართ, ეპისკოპოლუ კრამის შანის მიმართ, უნიღობის სამეცნიერო კათოლიკოსო პატრიარქის მიმართ.

წესდება საქართველომს ეკლესიის მართვა-გამგეობისა (დასწესისი).
წესდება საკათალიკოსო მსსუღიერო მსსწავლებლებსა.

არა-ოფიციალური განყოფილება.

რ. ი. ურფენული უნიღობა და ჩვენი ეკლესია.

პ. ინგოროყვა. მამამთავარნი საქართველომს ეკლესიისა (ქრწმწლოგოიური ნესისა).

დეკ. კ. კეკელიძე. ღვთის-მსახურება და სამღვდელეობა.

უწმიდესი კრიონ II. სიტყვა წარმთქმული თ. ჟორდანიას განდაცვალების წლის თავზე. ქრონიკა.

ოფიციალური განყოფილება

გუჯარი

სრულიად საქართველომს კათოლიკოსო პატრიარქის კრიონ II-ისა საქართველომს მროვნული შრილოგის მიმართ.

მშვიდობა თქვენდა და კურთხევა, რჩეულნი ივერისისნი!

ძალამიხილი, ჭალარამოსილი მამამთავარი ებრაელთა იაკობ ქვეყანასა უცხოთა ეგვიპტისასა მოუწოდებდა ძეთა თვისთა ათორმეტთა და ეტყულა: „შემოკერბით ჩემდა, რათა შიგიონსრა რაჲ შეგემთხვევის თქვენ უკანასკნელსა დღეთასა, შემოკერბით და ისმინეთ ძეთა იაკობისთა, ისმინეთ ისრაელისთა, მამისა თქვენისა“ (შგსაქ. 49, 1—2). ასულნი და ძენო აწ

წარტყვენვილისა და ძალამიხილისა მსცოვანის საქართველომსანო! შემოკერბით ჩემდა, მამამთავარისა თქვენისა, და ყური მიუბყართ სიტყუათა ჩემთა.

ოდეს ერი ქართველთაჲ გარემოიცვა შურმან, მტრობამან და ურთიერთას გაუგებრობამან, ოდეს იგი დადგა გზასა დანაწილებისა და დაწვლილებისასა,— შესუსტდა შემოკმელობითი ნიჭი მისი, შეირყა სიმხნე სულისა მისისა, დაქინდა შინაგანი ცხოვრება მისი, დაეცა სასელომწიფოებრივი ძალი მისი და მან, ლაღმან და ქედმაღლოანმან, მუხლი მოიდრიკა წინაშე უცხოთესლისა, რომელმან, თქმულისაგებ წერილისა, „ძენი თქვენნი წარეკვანნა და ცხენთა ზედა აღასხნა, ასულნი თქვენნი აღიხენა და მზარეულ ქმნა; აგარაკნი თქვენნი და

ვენახნი, ზეთისხილნი თქვენნი და კეთილნი მოგიდოთ; თესლნი თქვენნი და ღვინო განგიათეულნა და გყო თქვენ მისდა მონად“ (მეფ. 1, VIII, 11—17). „რაოდენგზის ინება“ დედამან-მშობელმან „შეკრება თქვენი, ვითარს ხელ შეაკრბნის მჭრინველმან მართვენი თვისნი ქვეშე ფრთეთა თვისთა, გარნა არა ინებეთ ესე“ (მთ. 23, 27) და არცა „უფალმან“ თქვენმან ნებაგკათ ამისი. და დღეს, ოდეს ვხედავ კრებულსა რჩეულთასა დიდსაწადელსა, წინასწარმეტყველებრ ვლალადებ: „აჰა ესერა რაჰმე კეთილ ანუ რაჰმე შვენიერ, არამედ დამკვიდრებაჲ ძმათაჲ ერთად“ (ფსალ. 132, 1). ხელთა შინა თქვენთა არს მომავალი ერისა ჩვენისა, თქვენ ხართ სასო და ხელისამპყრობელ მისი. ღელავს და მძვინვარებს ზღვა ჩრდილოჲსა, სანაპიროთა თვისთაგან გადმოხეთქილი, და წარღვნასა უქადის მრავალტანჯულსა ჩვენსა მხარესა. და თქვენ, რჩეულნი ივერიისანი, თქვენ უნდა იხსნათ სამშობლო განსაცდელისაგან, თქვენ უნდა განუსვენოთ მას, მიიყვანოთ ნავთსაყუდელსა მყუდროსა და დაამყაროთ მასში ძმობა, მშვიდობა, წესიერება და ბედნიერება. თქვენი ერთობა, ერთსულოვნობა და ღლისა ვარამის განმსჭვრეტელობა წინდლი არს იმისა, ვითარმედ „აღსდგებიან მკვდარნი“ (იხ. 26, 19); საქართველო განცხოველდება და ქართველი ერი კვლავ აღბეჭდავს მატთანესა შინა კაცობრიობისასა საქმეთა თვისთა საგმიროთა. იყავნ, იყავნ!

აჩრდილნი დიდებულთა ჩვენთა წინაპართანი, ვედრებანი ახლად აღდგენილ ივერიის ეკლესიისანი და კურთხევა ჩემის უღირსოებისაჲ გფარვიდეს და წინაგიძლოდეს თქვენ გზასა მას მოღვაწეებისა თქვენისასა.

მდაბალი კირიონ მეორე, მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და სრულიად საქართველოჲს კათოლიკოზ-პატრიარქი.

ქ. ტფილისით

19 ნოემბერს 1917 წ.

გ უ ჯ ა რ ი


უფმიდესი და უნებარესი კათოლიკოზ-პატრიარქის კირიონისა საქართველოჲს ეკლესიის სამწყსოჲს მიმართ.

წილხდომილო დედისა ღვთისაჲ,
ივერიაჲ, დიდებულჲ და ღვთაჲ დატულჲ!
„დიდება ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა“.

საქართველოჲს ეკლესიამ, ასის წლის მონობის შემდეგ, კვლავ ჰპოვა მოწყობება ღვთისა და დაიბრუნა თვისი დამოუკიდებლობა; ამიერიდან „არღარა ვართ მონა, არამედ აზნაურ“. ქართველმა ერმა ამა წლის 17 სექტემბერს დამადგინა მე უღირსი ახლად აღდგენილ თვისისა ეკლესიის მწედ და საქეთმპყრობელად. აღვალ რა მცხეთის ძველ საპატრიარქო საყდარზედ, მოგმართავთ ყველას მოციქულის სიტყვებით: „მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა“.

საყვარელო სამშობლო, ღვთის დედის წილხდომილო, ბრძმედსა შინა ტანჯვა-ვაებისასა განწმენდილო! შენთვის ტანჯული, შენგან განშორებული, შენთვის მტირალი, მარად შენკენ მოსწრაფებული, დღეს განვისვივნებ ტკიბილსა წიაღსა შენსა შინა, არა ვითარცა შვილი უძლები, არამედ ვითარცა მესაიდუმლე და სინიღისი ეკლესიისა შენისა, ვითარცა მეხვამიშენე შენი წინაშე ღვთისა და კაცისა. ვიცი, თვალნი გონებისა შენისანი ამ ჟამად ჩემკენ არიან მოქცეულნი, და მეკითხები: რა მომიტანე, რა მალამოსა სცხებ იარებესა ჩემსა, რით მანუგეშებე სევდა-მოსილსა? ყური მომაპყარ: „არა მოველ, რათა გიმსახურო, არამედ მსახურებად შენდა და მიცემად სული ჩემი სახსრად შენდა“. (მთ. 20, 28) მოველ არა ვითარცა მწე, სასყიდლით დადგინებული, არამედ ვითარცა მწე ერთგული და მარად მორჩილი და სიყვარულით აღვსილი.

დიდარს, მძიმე და პასუხსაგები საქეთმპყრობელობა ახლად აღდგენილ ეკლესიისა, მეტადრე ჩვენს აწინდელ მძიმე და გასაჭირ დროში. სხვანი, ჩემზედ უფრო მტკიცენი ხასიათითა და მხნეობითა, მუხლს იდრეკდნენ ამ ფრიალ მძიმე ტვირთის ქვეშ. „ქეშმარიტად სდმართო, დიდ და აღმატებულ არს წმიდაი ესე მსახურება, რომლ სათვის, — თქმულისაებრ წმიდისა იოანე ოქროპირისა, — საქირო არს ძალი და ბუნება ანგელოზთა“; გარნა მადლითა და სასოებითა კაცთმოყვარისა მეუფისაითა, მივიღებ აღრჩევასა ქრისტეს მორწმუნისა ვრი-



სასა და მოსრული წინაშე ღვთივ-აღმართებულისა ამის ბრწყინვალე სვეტისა და კვართისა ცხოველმყოფელისა აღთქმასა ვჰყოფ საღმრთოთა წესთა და სარწმუნოებისა დაცვისათვის, ერთგულებისათვის ამა კათოლიკე ეკლესიისა და თავისა და სულისა დადებისათვის, ვიდრესისხლის დახევაამდე ერისა ჩემისა კეთილდღეობისათვის, აღჭურვილი ვარ ცხოვლითა სარწმუნოებითა, რომ მეოხებითა და ვედრებითა ყოველთა წმიდათა ივერიის ეკლესიისათა წარმართოს საქმე კეთილად და სადიდებელად ღვთისა. „დიდი თამარი, ღმრთისა ამარი, ჩვენთვის ვედრებად მარად მზად არი“.

განმტკიცება ახლად აღდგენილ ეკლესიისა მის ისტორიულ უფლებათა ფარგლებში, — აი პირველი საზრუნავი. ასი წლის მონობის გამო შეირყა საქართველოს ეკლესიის მწყობრი ცხოვრება, ერის გულთან შეთანხმებული; დაირღვა კავშირი, გაქრა სული ცხოველი. განთავისუფლებული ეკლესია პირველყოფილისა განახლებულ უნდა იქმნეს თანამედროვე ცხოვრების საჭიროებათა მიხედვით ყოველ სფეროში და ესრეთ განცხოველებული კვლავ დაუბრუნდეს ერის მთლიან გვამს, რათა ვიყვნეთ ყოველნი ერთ გვამ და მრჩობლ ვიღვწოდეთ საერთო წარმატებისათვის.

ღვლავს და ბობოქრობს მსოფლიო ზღვა, მრისხანეთ ეღვარებს ცეცხლი მსოფლიო ომი სა, რომელსა შინა ქვეყანა და საქმენი მისნი ნი დაწვად განმზადებულან.“ (2 პეტ. 3, 10). ეხლა უნდა გამოიქედოს და გარდაიქმნას ბედლი სხვა და სხვა ქვეყნებისა, განსაკუთრებით კი პატარა ერებისა, ჩვენი ეკლესია მუდამ ედგა დარაჯად ქართველ ერის მთლიანობას და დამოუკიდებლობას, ის იყო დროშა, რომლის ქვეშ ღვიოდა ნაბერწკალი ქართველთა თანხმობის იდეისა. ეროვნულ დროშის ქვეშ ქართველი უძლეველი იყო; გასაქირის დროს ქუდზედ კაცი გამოდიოდა ოჯახიდან და საქართველო თავზარს სცემდა თვის მტრებს, რომლებიც დიდის პატივისცემით ეკიდებოდნენ შამაც ქართველებს. ტყუილად კი არ ამბობდა ჯერ კიდევ მათე საუკუნეში ცნობილი გიორგი მერჩული: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“. თუ ასე იყო ძველად, დღესაც ვალად ამევს ჩვენს ეკლესიას ემსახუროს იმავე იდეას და მედგრად გაახსენოს კაცობრიობას სახელი ქართველ ერისა; მან უნდა ხელი შეუწყოს ჩვენს განმტკიცება-გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ჩვენც ვპოვოთ შესაფერი და დამსახურებული ადგილი. აი მეორე საზრუნავი ჩვენი!

ჩვენს ეკლესიის სასიქადულოდ უნდა იქმნას, რომ ის არასოდეს არ ყოფილა საერთაშორისო ურთიერთობის გამამწვავებელ იარაღად და ფანატიკოსობის დამყარების მიზეზად. პირიქით, ჩვენ ვიცით, რომ ქართულ საზარება, ისრაელების თორა და მაჰმადიანთა ყურანი მშვიდობიანათ თავსდებოდნენ საქართველოში; ეკლესია იყო თავი მიზეზი იმისა, რომ ყველა უცხო ტომი ჩვენში პოპულარდა მეორე სამშობლოს და მისთვის სისხლსა ღვრიდა. ერთა შორის ძმურ ურთიერთობის განმტკიცება ახლა უნდა მორიგ საკითხად ჩაითვალოს, განსაკუთრებით კავკასიაში, სადაც ამ ძმურ განწყობილებას ხელოვნურად არღვევდნენ. ხშირად ძველი საეკლესიო წესწყობილების საშუალებით. განახლებული საქართველოს ეკლესია მიზნად ისახავს კვლავ წამოაყენოს ბევრისაგან დავიწყებული თქმულება: „ერთ არს ღმერთი და მამა ყოველთა, რომელი ყოველთა ზედა არს და ჩვენ ყოველთა შორის“ (ეფ IV, 6) და ამ ნიადაგზედ ყველა მეზობელ ერებს ძმურ, შემოქმედებით მუშაობისაკენ მოუწოდოს. ამა მესამე საზრუნავი ჩვენი!

ეხლა თვალი გადავაგლოთ ჩვენს, ქართველ ერის, შინაურ ცხოვრებას. რას დავინახავთ? ხალხს, ჯეროვან სწავლა-განათლებას მოკლებულს და ამის გამო ეკონომიურად გაღატაკებულს და სოციალურად დაბეჩავებულს. ჩვენი ძველი კულტურა და სწავლა-განათლება ეკლესიათა წიაღში აღმოცენდა, აქ პოპულარდნენ ჩვენი წინაპარნი სულიერ საზრდოს და კეთილდღეობას. ეკლესია დიდი კულტურული ძალაა და ხალხს გაუწიეს ფასდაუდებელ სამსახურს და გაუნათებს მას ცხოვრების უმჯობეს გზას. მღვდელი დღესაც ერთადერთი კულტურული ძალაა სოფელში და ჩვენის განახლებულ ეკლესიის საზრუნავია — ეს ძალა ჯეროვან სიმალეზე აიყვანოს, ხელი აღუბყრას დაბეჩავებულ ხალხს და დედობრივის გულშემატკივრობით უთხრას მას: „მოკვდიოთ ჩვენდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენო თქვენ“. (მთ. XI, 28).

ქრეშმარტად, როგორც ხედავთ, „ფრიად არს სამკალი“; ვსასოებ, რომ მე უძლურმან, გარნა ღვთისა კურთხევითა და თქვენის დახმარების და თანაგრძნობის იმედით განმხნეგებულმან კეთილად განვლო მოღვაწეობა ჩემი და ჩემის სიკაცხლის დადებამდე ვემსახურო ურცხვენელითა სამსახურითა ჩემს მომწოდებელს ერს.

„ღმერთო, შეწვენასა ჩემსა მოხედენ, უფალო, შეწვენად ჩემდა ისწრაფე“ (ფს. 69, 1). ამინ.

უმაღლესი და უღირსი კირიან, სრუ-

ლიად საქართველომ კათოლიკოზ პატრიარქი.
ქ. ტფილისით
19 აქტომბერს 1917 წ.

მკისტოლე

სრულიად სამართლიანად კათოლიკოზ-
პატრიარქის კიკრიონ მორკისა აღმოსავ-
ლეთის პატრიარქთა მიმართ.

უწმიდესო და უნეტარესო მეფეო!

გმბახსა შინა ბერძენთასა შობილი და სძი-
თა მართლისა სარწმუნოებისათა აღორძინებუ-
ლი საქართველომ ავტოკეფალური ეკლესია და
დასაწყისსა მეთაურობისა საუკუნისასა გან-
საცდელსა დიდსა შთაფარდა: ბრძანებითა და
განგებითა რუსეთის იმპერატორისათა თავი
ამა ეკლესიასა, უწმიდესი და უნეტარესი კა-
თოლიკოზ-პატრიარქი ანტონი მეორე, დამხო-
ბილ იქმნა საყდრისაგან თვისსა და იძულებით
წარიგზავნა კედართა ჩრდილოეთისათა, ხოლო
მოსაყდრედ კათოლიკოზისა დაიდგინეს ექ-
სარხონი რუსეთის ეკლესიისანი, რომელნი
ვიდრე მოაქამომდე განაგებდეს ეკლესიასა ჩუ-
ენსა ახლად დამყარებულმან რუსეთსა შინა
დროებითმან მთავრობამან გულისხმა ყო არა-
კანონიური საქმე იგი იმპერატორისა და ნება-
სცა ქურთობასა შინა მყოფსა ეკლესიასა აღ-
რჩევად თავისა თვისსა და აღდგენად ძველთა
საეკლესიოთა წესთა. ამა პირისთვის ქალაქსა
ტფილისს შემოკრება ღმრთივ-განბრძნობილი კრე-
ბაჲ მორწმუნესა ერისაჲ და სამღვდლომსა
დასისაჲ რომელმან ათმუდმეტსა სექტემბერსა
მიმდინარისა წლისასა აღირჩია უღირსობაჲ
ჩემი და სახელმძღვა მი „მთავარეპისკოპოზად
მცხეთისა და სრულიად საქართველომს კათო-
ლიკოზ პატრიარქად“, ვითარცა იყო წესი ჩუენ-
ისა ეკლესიისაჲ აღსრული საყდარსა ზედა
უწმიდესთა და უნეტარესთა ჩემთა წინამოად-
გილეთა, გულისხმა ვჰყოფ ბრძანებასა მოცი-
ქულისასა „დ მ რ ხ ე დ ერთობასა მას სულისასა
საკრველითა მათ მშვიდობისათა“ (ეფეს. I, 3)
და ვისწრაფი სიყუარულით მოგიკითხო, უნე-
ტარესო მამაო, და წრფელითა გულითა გითხ-
რა: „ქრისტე არს ჩუენ შორის“ ლუკა 11 მდა
იქმნების დაცვაჲ დღამატთა მართლმადიდებ-
ლობისათა, რომელთა არა განმცემელ ყო-
ფილ არს ეკლესიაჲ ჩუენი; გზად ჩემდა იქმნე-
ბის ზრუნვაჲ კეთილად-დგომისათს წმიდათა
ღმრთისა ეკლესიათა და კეთილწარმატებისა-
თს ერსა ჩემისა; ზღუდედ ჩემდა იქმნებ-
ს კანონნი მსოფლიოთა და ადგილობრითა კრე-

ბათანი, ხოლო კუერთხად დასაყდნობელად
ლოცვანი თქვენისა უწმიდესობისანი. აღმარ-
თა საყდარი ქართველთაჲ შერყეული და გე-
ნახსა მართლმადიდებლობითისა ეკლესიისასა
განუცხოველდა რტოჲ ნაყოფიერი, მანქანები-
თა კაცთაჲთა დაზრდილული. აღნთო ლამპარი
ივერთაჲ და შრეტილი და სარწმუნოებასა მარ-
თალსა აღმოსავლით კერძო აღედგინა ეგფუ-
რი, ამოგებითა სოფლისაჲთა ძალამიხდილი.
ესასოგებ, ვითარმედ „არა შეიწრებულ იქმნე-
ბის“ ეკლესიაჲ საქართველომსაჲ და მისთანავე
უღირსობაჲცა ჩემი „გულსა შინა თქუენსა“,
რამეთუ „ერთ არს უფაო, ერთ არს სარწმუ-
ნობა, ერთ არს ნათლისღება, ერთ არს ღმერ-
თი და მამაჲ, რომელი ყოველთა ზედა არს და
ყოველთა მიერ და ჩუენ ყოველთა შორის“
(ეფეს. IV, 5-6). ამინ!

უმაბლესი და უღირსი კიკრიონ მეორე,
მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და სრულიად სა-
ქართველომს კათოლიკოზ-პატრიარქი.

ქ. ტფილისით
25 სექტემბერს 1917 წ.

მკისტოლე

სრულიად სამართლიანად კათოლიკოზ-
პატრიარქის კიკრიონ მორკისა ჰრომთა
პაპის მიმართ.

უწმიდესო და უნეტარესო მამა!

უძუელესსა საყდარსა საქართველომსა სა-
კათოლიკოზო მსახრსა, რომელსა 1811 წლითგან
ვიდრე მოაქამომდე განაგებდეს ექსარხონნი რუ-
სეთის ეკლესიისანი, ათმუდმეტსა სექტემბერსა
მიმდინარისა წლისასა, აღრჩევითა მორწმუნისა
ერისა და სამღვდლომსა დასისაჲთა, აღყვა-
ნილ იქმნა უღირსობაჲ ჩემი. აღსრული საყ-
დარსა ამას ზედა „მოვიკსენებ დღეთა პირველ-
თა და ვიწურთი ყოველთა მიმართ საქმეთა“
(ფს. 14, 25) უნეტარესთა მწემ. თ-მთავართა
პრომისათა.

განგებამან ღმრთისამან არა უცხო ქმნა
ეკლესიაჲ ჩუენი პრომისათს დიდისა. პეტრე
და ანდრია პირველწოდებულთა მათ მოწაფე-
თა ქრისტესთა, რომელთა თესლი უბიწოჲ გი-
ნაბნიეს მართლთა სარწმუნოებისაჲ ორნ ტთა
პრომ-ქართველთა გულისათა, ამობითა თვის-
თა წინაჲ წარ მოასწავეს სიყუარული და თვის-
ბაჲ ორთა ამათ ეკლესიათა. ჟამთა მოციქულ-
თა სწორის ნინო მსა და მეფისა მირიანისათა
წინამან წმიდისა სილობი ტრო პრომისამან, ვი-
თარცა ვადი, აღაყუავილა ნაყოფი მართლ-
მორწმუნოებისაჲ ქუეყანასა ქართლისასა, ხო-

ლო წვალებითა უშჯულოდსა ნესტორისაჲთა შეიწრებულმან ახალწერგმან ამან ქრისტესმან ღმრთისაჲთა პოვა ეპისტოლესა შინა გრიგოლ დიოლოლონისასა, რომელი მან ჰრომით წარმოუძღლუნა უწმიდესსა და უნეტარესსა სენსასა ჩემსა, კირიონ მცხეთისა კათოლიკოსსა. შემდგომითი შემდგომად მოღუაწებამან წმიდისა ილარონ ქართველისამან, რომელი წელ ორ სხემობდა ქალაქსა შინა შენისა უწმიდესობისასა, კულავ აუწყა მკვდრთა ჰრომისათა დიდებაჲ საქართველოს ეკლესიისაჲ და განამტკიცა ერთობაჲ ჰრომთა და ქართველთაჲ. გარდახდეს წელნი მრავალნი და შურითა ემბაკისაჲთა განიხეთქა ძოწყული შუენიერი ერთმორწმუნოებისაჲ, რომელი ემოსა უბიწოსა მას სძალსა ქრისტესსა, ეკლესიისა აღმოსავლისა და დასავლისა, გარნა საქმითა ამით არა გულარძნილ იქმნა ეკლესიაჲ ჩუენი: მოციქულნი და ქადაგნი ჰრომის საყდრისანი, რომელნი მეთასამეტე საუკუნითან მოველინეს ქუეყანასა ჩუენსა, შეუარგულებელად იღუწოდეს საფარველსა ქუეშე ქართველთ მეფეთასა, ვითარცა მწყესნი კეთილნი, მკურნალნი კორცთანი და მომფენელნი ჩუენდა სწავლა-განათლებისანი. მათ აღაშენეს ქუეყანასა ჩუენსა ეკლესიანი თჳსნი და დაუმოწაფეს საყდარსა შენსა არამკირენნი ქართველნი, რომელნი მოაქამოძღვე აღიდებენ ღმერთსა წესისაებრ ჰრომთა ეკლესიისა და პატივსა სცემენ სახელსა შენის უწმიდესობისასა.

დღესა ამას აღდგენისა ქართველთა ეკლესიისა და სიხარულისა მათისასა, გულისხმის მყოფელი წარსულისა ჩუენისა, მოწოდებ მოვიკითხავ უნეტარესობასა შენსა და აღთქმისა ვსდებ, ვითარმედ მიმდგომნი შენისა საყდრისანი „არა შეიწრებულ იქმნებიან გულსა შინა“ ჩემსა და ქართველთა ერისასა. ვსასოებ, ვითარმედ უწმიდესობაჲ შენი არა უგულვებელს ჰყოფს ქართველთა კათოლიკეთა და მრავალფერთა მათთა სარწმუნოებრივ-ეროვნულ სახმართა.

„მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, სიყუარული ღმრთისა მამისაჲ და ზიარებაჲ სულისა წმიდისაჲ იყავნ ჩუენ შორის“.

უმდაბლესი და უღირსი კირიონ მეორე, მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი.

ქ. ტფილისით
2 ნოემბერს 1917 წ.

ცნობა. წარგზავნა ეპისტოლეჲთა აღმოსავლეთის პატრიარქთა და ჰრომის ხაზის მიმართ დღემდე შეუფერხდა ესლანდეჲ საერთაშორისო ომების მიზეზით.

ეპისტოლე

სრულიად სამართავილოდს კათოლიკოზ-პატრიარქის კირიონ მეორისა სომხთა კათოლიკოზ-პატრიარქის ვიხარ.


უწმიდესო მეუფეო!

საქართველოს საკათოლიკოზო საყდარი, ასის წლის წინედ დაქტრივებული, განგებითა ღმრთისაჲთა, კულავ თავდადებულ იქმნა და საყდარსა ამას ზედა; აღრჩევითა კეთილმორწმუნისა ერისაჲთა, აღყვანილ იქმნა უღირსოებაჲ ჩემი. შესრული სტადიონსა სულთა მოღუაწეობისა და მწყემსმთვრობითი საქეთმპყრობელობისასა, მიმოვიკითხე გარემოჲს ჩემსა და თვალთა გონებისა ჩემისასა შევაყენებ ღმრთივ მოშიშსა ერსა ზედა პავიანისასა. ძმური ნათესაობაჲ ქართლოსინ-პაოსინთაჲ, მსლველობასა საუკუნეთასა განმტკიცებული, განბრწყინვებულ იქმნა ემბაზსა შინა იერუსალემის ქრისტეანობისასა და ძმანი ესე ახოვანნი უხვად ჰვენდეს კედართა აღმოსავლისათა შარავანდთა ღმრთივ-მეტყინებობასა და კეთილმსახურებისათა. გარნა მანქანებითა კაცთმოძულისა ეშმაკისაჲთა დაითესა ჩუენ შორის ღუარძლი სარწმუნოებითი ღალვისაჲ, და დასაწყისსა მეშვიდისა საუკუნისასა იქმნა განწუალებაჲ ერთმორწმუნეთა ძმათაჲ. განწუალებაჲმან ჩუენმან წარმოძვა დაქინებაჲ ჩუენი, ხოლო დაქინებითა ამითა მტერმან სასტიკმან განამტკიცა ქედსა ზედა ჩუენსა საყდარი ბატონობისა თჳსისაჲ. აღსრული საყდარსა უწმიდესთა ჩემთა წინამოადგილეთა, მოგიკითხავ უწმიდესო მეუფეო და ვლოცავ უფალსა, რათა სწრაფითა და ღუაწლითა ჩუენითა აღდგენილ იქანეს ერთობაჲ ჩუენდამი რწმუნებულთა ერთაჲ; ერთობასა ვიტყვი არა სარწმუნოებრივ-დოღმატიურსა, არამედ მოქალაქობრივ-განმანათლებლობითსა, რათა დაემყაროს ჩუენ შორის ძმობაჲ და ურთიერთას გულისხმისყოფაჲ და რათა სამშობლოსა შინა ჩუენსა განსახიერდეს სასუფეველი ღმრთისაჲ.

„მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, სიყუარული ღმრთისა მამისაჲ და ზიარებაჲ სულისა წმიდისაჲ იყავნ ჩუენ შორის“.

უმდაბლესი და უღირსი კირიონ მეორე, მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი.

ქ. ტფილისით
14 ნოემბერს 1917 წ.



საქართველოს ეკლესიის გარეგნულ-გამგებობა.

დებულებანი მიდებულნი სრულიად საქართველოს 1917 წლის საეკლესიო კრებაზე.

§ 1. მართვა-გამგებობის მხრით საქართველოს ეკლესია განიყოფა ეპარქიებად და ეპარქიები ოლქებად, ხოლო ოლქები სამრევლოებად.

§ 2. საქართველოს ეკლესიაში შემდეგი ეპარქიებია:

ა) მცხეთისა, რომლის მწყემსმთავარი არის „მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად საქართველომს კათოლიკოს-პატრიარქი“. სამწყსო: საქართველოს ეკლესიის წმ. დედაქალაქი მცხეთა, ორისავე არაგვისა და ქსან-ღვთის ხეობანი (ტერიტორია ძველი ეპარქიების: მცხეთისა, წილკნისა და სამთავისის), რასაც შეიცავს ესლანდელი დუშეთის მაზრა შემდეგის ცვლილებით: დასავლეთით ემატება ქსან-ღვთის ხეობათა ქვემო-ნაწილი ვიდრე წლევის მთამდე, ხოლო აღმოსავლეთით აკლდება არაგვის აღმოსავლეთი სანაპირო, რომლის ერთი ნაწილი, ნოკორნის ქედის ქვემოლ, შედის ტფილელის ეპარქიაში (საგურამოს უბანი), ხოლო ზემო-ნაწილი (ხარკიშოს უბანი) — შეადგენს ალავერდელის სამწყსოს. კათედრა ეპარქიისა არის მცხეთაში (სვეტი-ცხოველში), ხოლო კათოლიკოსის რეზიდენცია — ტფილისში.

შენიშვნა: კათალიკოს-პატრიარქის ბინადარი სამწყსოს შეადგენს აგრეთვე საქართველოს გარე მცხეთები ქართველობა.

ბ) ტფილისისა. სამწყსო: გარე-ქაროლი და გარე-კახეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ტფილისის, მანგლისის, წალკის, დმანისის, ბოლნისის, წინწყაროსი, აგარაკის, რუსთავის, კაწარეთისა და ნინოწმინდის), რასაც შეადგენს ესლანდელი ტფილისის და ბორჩალოს მაზრები და ამათ გარდა საგურამოს უბანი და ბამბაკის ხეობა. კათედრა მწყემსმთავრისა — ტფილისში (სიონში), რეზიდენცია — იქვე. პატივი მწყემსმთავრისა: „ტფილელი მიტროპოლიტი“.

შენიშვნა: ტფილელი, როგორც კათალიკოსის უსწავლესი აგილგობრივ მღვდელმთავარი, არის მსხვილრე კათალიკოსისა.

გ) ალავერდისა. სამწყსო: შიდა-კახეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიების: ალავერდისა, ნეკრესისა და ხარაქაშენის), რასაც შეიცავს ესლანდელი თელავისა და თიანეთის მაზრები ხარკიშოს უბნის მიმატებით და ამათ გარდა დიდოეთ-დურძუკეთი, მიწერილი თერგისა და

დაღესტნის მხარეებზე. კათედრა — ალავერდში, რეზიდენცია მღვდელმთავრისა ქ. თელავში. პატივი მღვდელმთავრისა არის — „ალავერდელი ეპისკოპოსი“ (ანუ „აბბა ალავერდელი“).

დ) ბაღბასა. სამწყსო: ჰერეთი, რანი, შაქი და წუქეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ბოდბისა, ჰერემისა, გიშისა და ხორანაბუჯის), რასაც შეადგენს ესლანდელი მაზრები და ოლქები — სიღნაღისა, ზაქათალისა, საშურისა, ნუხისა, არემისა, განჯისა და ყაზახისა. კათედრა ბოდბეში, რეზიდენცია მღვდელმთავრისა — ქ. სიღნაღში. პატივი მღვდელმთავრის: ბოდბელი ეპისკოპოსი.


ე) ურბნისისა. სამწყსო: შიდა-ქართლი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ურბნისის, რუისის, ნიქოზისა და სამთავროსი), რასაც შეიცავს ესლანდელი გორის მაზრა, გარდა ბორჯომის ხეობისა და სამთავისის უბნისა, და ამათ გარდა დვალეთი, მიწერილი თერგის მხარეზე. კათედრა — ურბნისში, რეზიდენცია ქ. გორში. მღვდელმთავრის პატივი: ურბნელი ეპისკოპოსი.

ვ) აწყურისა. სამწყსო: სამცხე, ჯავახეთი და ზემო-სომხეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: აწყურის, წურწყაბის, კუმურდოსი, ერუშეთის, დადაშენის, წყაროსთავის, ანისის, კარისა და ალაშქერტის), რასაც შეადგენს ესლანდელი ახალციხის მაზრა — ბორჯომის ხეობის მიმატებით, ახალქალაქის მაზრა, არტანის ოლქი, ყარსის ოლქი, ყაღვევანის ოლქი, გუმბრის მაზრა და ამათ გარდა ორი ოლქი ოსმალეთის საზღვრებში — ბაიანი და ალაშქერტი. კათედრა მღვდელმთავრისა აწყურში (დროებით ხარხაში), რეზიდენცია ქ. ახალციხეში. მღვდელმთავრის პატივი — „მაწყურელი ეპისკოპოსი“.

ზ) ქუთაისისა. სამწყსო: ქვემო-იმერეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ქუთაისისა და ხონის), — ესლანდელი ქუთაისის მაზრა მდ. წყალწითელას ქვემოლ. კათედრა — ქუთაისში და მწყემსმთავრის რეზიდენცია იქვე. მწყემსმთავრის პატივი არის — „ქუთათელი მიტროპოლიტი“.

თ) გენათისა. სამწყსო: ზემო-იმერეთი (ტერიტორია გენათის ძველი ეპარქიისა), — ესლანდელი შორაპნის მაზრა და ოკრიბა მდ. წყალწითელას ზემოლ. კათედრა მღვდელმთავრისა — გელათში, რეზიდენცია — ქ. ზესტაფონში. მღვდელმთავრის პატივი: „გენათელი ეპისკოპოსი“.

ი) ნიკორწმინდისა. სამწყსო: რაჭა (ტერიტორია ნიკორწმინდის ძველი ეპარქიისა), — ესლანდელი რაჭის მაზრა. კათედრა — ნიკორწმინდაში, რეზიდენცია მღვდელმთავრისა — ონში.



პატივი მღვდელმთავრისა: „ნიკორწმიდელი ეპისკოპოსი“.

ი) ცაგერისა. სამწყსო: ლეჩხუმ-სვანეთი (ტერიტორია—ცაგერის ძველი ეპარქიისა),—ეხლანდელი ლეჩხუმის მაზრა. კათედრა—ცაგერში, მღვდელმთავრის რეზიდენცია—იქვე. პატივი მღვდელმთავრისა: „ცაგერელი ეპისკოპოსი“.

იბ) ჭყონდიდისა. სამწყსო: ოდიში (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ჭყონდიდის, ცაიშისა და წალენჯიხისა),—ეხლანდელი სენაკისა და ზუგდიდის მაზრები. კათედრა მწყემსმთავრისა—მარტვილში, რეზიდენცია—ქ. ფოთში. პატივი მწყემსმთავრისა არის—„ჭყონდიდელი მიტროპოლიტი“.

ივ) ბათომ-შემოქმედისა. სამწყსო: გურია, ტაო-კლარჯეთი და ჭანეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიების: ხინოწმინდისა—იმავე ბათომის, შემოქმედის, ჯუმათის, სატრაფელისი, ტბეთის, ანჩის, იშხანისა და ბანის), რასაც შეიცავს რუსეთის საზღვრებში—ეხლანდელი ოზურგეთის მაზრა, ბათომის, ართვინის და ოლთისის ოლქები, ხოლო ოსმალეთის საზღვრებში—ოლქები: თორთომი, კისკიმი, ისპირი, რიზე, ათინა და ხოფა. კათედრა მღვდელმთავრისა—ქ. ბათომში და რეზიდენცია იქვე. პატივი მღვდელმთავრისა: „ბათომელ-შემოქმედელი ეპისკოპოსი“.

ივ) ცხუმ-ბედიისა (ტერიტორია ძველი ეპარქიების: ღრანდისა—იმავე ცხუმის, ბედიისა, მოქვისა და ბიჭვინთისა), ეხლანდელი სოხუმის ოლქი ვაგრის უბნის მიმატებით. კათედრა მღვდელმთავრისა—ცხუმში (სოხუმში), რეზიდენცია—იქვე. მღვდელმთავრის პატივი არის—„ცხუმელ-ბედიელი ეპისკოპოსი“.

შენიშვნა 1. მიტროპოლიტებმა პატივით ეპისკოპოსებზე მადლა დგანან. სამიტროპოლიტო კათედრები იერარქიულად თანასწორნი არიან, აგრეთვე სავსაქმობაზე კათედრები. მწყემსმთავრანი პატივდებულ იქმნებიან ხელდასმის (ქარტლეთის) უსუგესობის მიხედვით. გამონაკლისია მხოლოდ ტფილელი მიტროპოლიტი, რადგან იგი ფაქტიურად კათოლიკოსის მისაყდრებანს ასრულებს.

შენიშვნა 2. ამ სიის შეცვლა და შეკლება სრულიად საქართველოს ეკლესიის კრების კომპეტენციას ეკუთვნის.

§ 3. საქართველოს ეკლესიას მთლიანად და ნაწილობრივ (ეპარქიის, ოლქსა და სამრევლოს) განაგებენ კრებები (სრულიად საქართველოს ეკლესიისა, საეპარქიო, საოლქო და სამრევლო), რომელთაც აღმასრულებელ ორ-

განობად ჰყავს საბჭოები (საკათოლიკოსოსის, საეპარქიო, საოლქო და სამრევლო).

მთავარი გამგეობა

§ 4. საქართველოს ეკლესიას განაგებს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, რომელსაც შეადგენს ეკლესიის სრულ-წლოვან წევრთა წარმომადგენლები, განურჩევლად სქესისა, თანამდებობისა და ხარისხისა, თითოეულ ოლქიდან ოთხ-ოთხი კაცი. ამათ გარდა საეკლესიო კრების აუცილებელ წევრებად ითვლებიან ყველა მმართველი მღვდელმთავრები.

§ 5. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას თავმჯდომარეობს კათოლიკოსი, ხოლო, როცა იგი არ არის, მისი მოსაყდრე, და თუ მოსაყდრეც არ არის, ერთ-ერთი მღვდელმთავარი კრების არჩევით. კრებავე აირჩევს პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებსა და მდივნებს. კრება არის ჩვეულებრივი—ხუთ წელიწადში ერთხელ, და არაჩვეულებრივი—როცა საჭიროება მოითხოვს. ჩვეულებრივ კრებას იწვევს კათოლიკოსი, ხოლო არაჩვეულებრივს ან კათოლიკოსი, ან საკათოლიკოსო საბჭო, საეპარქიო საბჭოთა უმრავლესობის თანხმობით. კრება კანონიერია, თუ მოწვეულთა ერთი მესამედი მაინც გამოცხადდება.

§ 6. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების კომპეტენციას ექვემდებარება: ა) ადგილობრივი საეკლესიო კანონმდებლობა; ბ) უზენაესი საეკლესიო სამართალი; გ) საბოლოოდ გარჩევა და გადაწყვეტა იმ საქმეებისა, რომელთაც მას საკათოლიკოსო საბჭო წარმოუდგენს; დ) არჩევა საკათოლიკოსო საბჭოს და საკათოლიკოსო სასამართლოს წევრებისა და მათი კანდიდატებისა; ე) ძველი კათედრების აღდგენა, ახალი ეპარქიების გახსნა ან არსებულ ეპარქიათა დახურვა და საზღვრების გამიჯვნა; ვ) ზრუნვა სასულიერო სასწავლებელთა დაარსებისა და ნივთიერად უზრუნველყოფისთვის; ზ) მთავარი მართვა-გამგეობის ორგანოთა შტატების დამტკიცება.

(შემდეგი იქნება)

იბეჭდება თანხმად სრულიად საქართველოს საეკლესიო საბჭომ და დგენილების 10/X, 1917 წ.

დაუშლავანი

საკათოლიკოსომს სსმუა და მდაბლ სსსულიერო სასწავლებელთა შესახებ, მიღებული სრულიად საქართველოს 1917 წლის საეკლესიო კრებაზე.

1. საქართველოს ეკლესიის, როგორც ქრისტიანულ-სარწმუნოებრივ საზოგადოებას,

აქვე საკუთარი ტიპის მდებალი და საშუალო სკოლა, რომელმაც უნდა აღზარდოს მორწმუნეთა შვილები ჰუმანიტარულ-ქრისტიანულ საფუძველზე და ამავე დროს სამღვდლოებასაც მისცეს შეძლება წილებინოს თავის შვილებს შეღავათიანს პირობებში სრულუფლებიანი მდებალი და საშუალო განათლება. ამ სკოლებში სწავლა ყველა საგნებისა უნდა სწარმოებდეს ქართულს ენაზე და ამასთან საღმრთო სჯულის სწავლება სავალდებულო უნდა იყოს. პროგრამითა და უფლებებით ეს სასწავლებლები უნდა გაუთანასწოროდენ მთავრობის თანაბარ სასწავლებლებს (პროგიმნაზიებსა და გიმნაზიებს).

2. არსებული სასულიერო სასწავლებლები პროგრამით ყველგან გადაკეთდეს სრულუფლებიან პროგიმნაზიებად.

3. ტფილისისა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლები შეუერთდენ ადგილობრივ სემინარიებსა და მათთან ერთად გადაკეთდენ სრულუფლებიან გიმნაზიებად, მთავრობის გიმნაზიების პროგრამით; ამავე გიმნაზიებში მერვე კლასის შემდეგ გახსნილ იქმნეს სპეციალური საღვთისმეტყველო კურსები (ორი კლასი) სამღვდლო კანდიდატთა მოსამზადებლად. საღვთისმეტყველო კურსებზე მიღებიან სხვა საშუალო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნიცა.

4. ტფილისისა და ქუთაისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლები გადაკეთდენ საქალგობო გიმნაზიებად და პროგრამითა და უფლებებით გაუთანასწოროდენ მთავრობის თანაბარ სსწავლებლებს (საქალგობო გიმნაზიებს).

5. საკათოლიკოზო სასულიერო სასწავლებელთა უზენაესი მართვა-გამგეობა გადაეცეს სრულიად საქართველომს საკათოლიკოზო საბჭოს, რომელთანაც დაახსდეს განსაკუთრებული სასწავლო კომიტეტი, შემდგარი სამი პირისაგან (ერთი—თავმჯდომარისა და ორი წევრისაგან). კომიტეტს აირჩევს ოთხის წლის ვადით სასწავლებელთა დელეგატების კრება და დაამტკიცებს საკათოლიკოზო საბჭო.

შენიშვნა 1. სასწავლო კომიტეტის მოქმედება ავტონომიურია იმ ბიუჯეტისა და ზოგადი დირექტივების ფარგლებში, რომელთაც საკათოლიკოზო საბჭომსგან მიიღებს.

6. საკათოლიკოზო სასულიერო სასწავლებლები იმყოფებიან სასწავლო კომიტეტის განმგებლობის ქვეშ, ხოლო შინაურს ცხოვრებასა და მართვა-გამგეობაში—ავტონომიურად მოქმედებენ.

7. ავტონომიური სასწავლებლის ორგანო არის საპედაგოგიო საბჭო, რომელშიაც შე-

დინ: სასწავლებლის გამგე, ყველა მასწავლებელი და აღმზრდელი, სასწავლებლის ექიმი, საეპარქიო კრებისა და მშობელთა წრის სამსამი წარმომადგენელი და აგრეთვე—სადაც სასწავლებელი ქალაქიდან ღებულობს სუბსიდიას—ქალაქის თვითმმართველობის ერთი წარმომადგენელი.

შენიშვნა 2. გიმნაზიებში საპედაგოგიო საბჭომს სხდომებზე ესწრებიან სათათბირო სმით სამი უფროსი კლასის მწაფეთა დელეგატები.

8. საპედაგოგიო საბჭომს თავმჯდომარედ ითვლება სასწავლებლის გამგე (დირექტორი ან ინსპექტორი), რომელსაც ირჩევს საპედაგოგიო საბჭო ხუთის წლის ვადით, რის შემდეგაც შეუძლია ხელმეორედ არჩეულ იქმნეს.

9. საპედაგოგიო საბჭო ირჩევს ყველა თანამდებობის პირს თავის სასწავლებელში და მოახსენებს ამის შესახებ სასწავლო კომიტეტს მხოლოდ ცნობად მისაღებად და არჩეულ პირთა სახელმწიფო სამსახურში დასამტკიცებლად. დანარჩენ საქმეებშიაც საპედაგოგიო საბჭო დამოუკიდებლად მოქმედებს იმ წესდებათა და სასწავლო პროგრამის ფარგლებში, რომელთაც შეიმუშავებს სასწავლებელთა საბჭოების დახმარებით სასწავლო კომიტეტი და დაამტკიცებს საკათოლიკოზო საბჭო.

10. საპედაგოგიო საბჭომს წევრთა ორი-მესამედს მიერ ხელმოწერილის დასაბუთებულის განცხადებით საბჭოში შეიძლება დასმულ იქმნეს საკითხი გამგეობისა და სხვა თანამდებობის პირთა დათხოვნის შესახებ ვადის შესრულებამდე. ასეთ პირს უფლება აქვს თავი დაიცვას საბჭოში მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათაგან. თვით დათხოვნა-კი გადაწყდება, თუ ამას ხმას მისცემს არა უმცირესის აბჭომს შემადგენლობის სამი-მეოთხედისა.

შენიშვნა 1. თანამდებობისგან განთავისუფლებულ გამგეს და სხვას თანამდებობის პირს შეუძლია დარჩეს პედაგოგიურს კორპორაციაში.

შენიშვნა 2. კორპორაციის ამა თუ იმ წევრის დათხოვნა სამსახურიდან შეიძლება მხოლოდ საპედაგოგიო საბჭომს დადგენილებით.

11. ზემო-დასახელებულ ფუნქციებს გარდა საპედაგოგიო საბჭოს ექვემდებარება შემდეგი საქმეები: მასწავლებელთა შორის გაკვეთილების სიის (ცხრილის) შემუშავება, მოწაფეთა მიღება და დათხოვნა, მათი ყოფაქცევისა და სწავლა-წარმატების განსჯა-განხილვა, აგრეთვე მათ შესახებ აღმზრდელითი ზომების მიღება, წლიური ხარჯთაღრიცხვისა და შე-



მოსავალ-გასავლის ანგარიშების განხილვა, საზოგადოდ სრულიად ავტონომიურად განხილვა და გადაწყვეტა ყველა საკითხებისა, რომელნიც სასწავლებლის შინაგანს ცხოვრებასა და წყობილებას შეეხებიან.

12. სამეურნეო საქმეების გასაძლიერებლად საპედაგოგიო საბჭო თავის წევრთაგან ირჩევს ორს მუდმივ კომისიას: ა) სამეურნეოსა და ბ) სარევიზიოს.

13. სამეურნეო კომისიის შემადგენლობა ასეთია: თავმჯდომარე, ორი მასწავლებელ-ალმზრდელთა კორპორაციის წარმომადგენელი, ერთი საეპარქიო კრების წარმომადგენელი, ერთი მშობელთა წრისა და ერთი იმ დაწესებულებათა, რომელნიც სასწავლებელს სუბსიდიას

აძლევენ; ამ კომისიის აუცილებელი წევრია სასწავლებლის ეკონომოსიც, სადაც ამისი თანამდებობა არსებობს. ამ კომისიის ექვემდებარება სასწავლებლის სამეურნეო ცხოვრების გაძლიერება, შედგენა ხარჯთ-აღრიცხვისა, წლიური ანგარიშებისა და სხვ.

14. სარევიზიო კომისიაში შედის ორი წევრი: ერთი მასწავლებელ-ალმზრდელთაგან და ერთიც საეპარქიო კრების წარმომადგენელი. ეს კომისია შეამოწმებს სამეურნეო კომისიის ანგარიშებსა და თავის დასკვნას მოახსენებს საპედაგოგიო საბჭოს.

ამოტვირთვა თანხმად სრულად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს დადგენილებისა 23/X, 1917 წ.

ს ა რ ა - მ უ შ ი ს ი ა ლ უ რ ი ბ ა ნ ე უ რ უ ლ ი ბ ა

კომუნალური უკიდურესობა და ჩვენი პოლიტიკა

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უკანასკნელ დღეებში მოხდა პირველ ხარისხიანი მოვლენა, რომელსაც უკიდურესობა მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნის სწავლა და გარდაწყვეტაში, უეჭველად დას დასვამს ქართველი ერის კულტურისა და პოლიტიკის მსვლელობას და, წაშისადამე, გადამჭრელ როლსაც ითამაშებს აგრეთვე ქართული ეკლესიის მდგომარეობის მოწესრიგებაში საზოგადოთ და მის რუსის ეკლესიასთან დამოკიდებულებაში კერძოთ.

დამტკიცებას არ ითხოვს ის გარემოება, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლად გამოცხადება რეალ ნიადაგზე დაეყრდნობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ძირიან-ფესვიანად შეიცვლება და ნაცვლად იმპერიალისტური მიდრეკილებისა გაიმარჯვებს ჭეშმარიტი ხალხთმმართველობის იდეა.

რუსეთის პოლიტიკური ვითარება დღითიდღე გვარწმუნებდა იმაში, რომ ამაოა მმართველთა შეცვლა, უკეთეს სისტემა სახელმწიფო ცხოვრებისა და სამოქალაქო გამგეობისა დარჩება ძველი, და ძალა-უფლების მქონე დემოკრატია იხელმძღვანელებს ბიუროკრატის მეთოდით როგორც თეორიულ დებულებათა შემუშავებაში, აგრეთვე დღიურ პრაქტიკულ მოღვაწეობაშიაც.

საოცარი უკუღმართობით და nonsensებით აღსავსეა რუსეთის რევოლიუცია! პოლი-

ტიკურ თუ სოციალურ ცხოვრების ერთს რომელიმე დარგში დაუნდობლად აის ვრცევენ ძველს დრომოკმეულ ნორმებს, ხოლო მეორე დარგში ყოველივეს ხელუხლებლად სტოვებენ, თითქოს იგი შეეფერებოდეს გარდაქმნილ სახელმწიფო ცხოვრების ბუნებას და ეგუებოდეს დემოკრატიული წესწყობილების თვისებას მაგალითად, იმ დროს, როდესაც მუშავდებოდა მიწათმფლობელობის ძირითადი პრინციპები, ავგებული სოციალისტურ მსოფლმხედველობაზე, როდესაც ფაბრიკ-ქარსნების საქმეები და მთელი წარმოება განეხრახნათ დაემორჩილებიათ მუშათა კონტროლისათვის და სახელმწიფოს მონაპოლიად გამა ეცხადებიათ, ამავე დროს რევოლიუციური და დემოკრატიული მთავრობა სასტიკ წინააღმდეგობას უწყვედა დაჩაგრულ ერების თვითგამორკვევას. მაგალითები აუარებელია, ამიტომ აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთს, რომელიც ეხება ჩვენს ახლად აღორძინებულ ეკლესიას: მიუხედავად იმისა, რომ ამ ეხმად რუსეთში ხელმწიფება უპყრია უკიდურეს სოციალისტურ ელემენტს, რომელიც არ ერიდება თვით სოციალურ რევოლიუციის მოხდენას და უკვე აქვეყნებს სათანდო აქტებს, — ივერიის ეკლესია მაინც განიცდის სინოდის ძალმომრეობას, დღესაც ვერ გამოუტრკვევია თვისი უფლებრივი მდგომარეობა და ვერ დაპატრონებია თვის კუთვნილებას.

მით უფრო ყურადსადებია პოლიტიკური გამოსვლა ქართველი ერისა! 19 ნოემბერი, ჩვენის ღრმა რწმენით, არის დასაწყისი საქართველოს ახალი ხანისა, რადგანაც ამ დღეს ჩაიყარა საძირკველი ჩვენი სამშობლოს თავისუ-

საქართველო

ფულ ცხოვრებისა. ხალხის ნატვრა განსახიერდა: ამიერიდან უცხო მთავრობა მას ვეღარ მოახვევს თავზე პეტრეს-ქალაქში შეთხზულ კანონებს, რადგანაც ერი შეიქმნა თვით-კანონმდებელი, სრულიად დამოუკიდებელი შინაგან ცხოვრებაში.

ქართველი ერის პოლიტიკური თვით-გამორკვევა დღეს უკვე მომხდარი ფაქტია.

უეჭველია, საერთაშორისო სამშვიდობო კონგრესი, რომელიც მოაპყვება მსოფლიო ქართველს, გვერდს ვერ აუხვევს „საქართველოს საკითხს“, იქაც წამოყენდება ჩვენი სამშობლოს სუვერენული უფლებანი, რაზედაც გარკვევით და გჭვის დაუბადებლად ლაპარაკობს 1783 წლის ხელშეკრულება. ამიტომ დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში ჩვენ ვეღარ დავკმაყოფილდებით ზოგად დეკლარაციებით ერთა თვითგამორკვევის შესახებ, რადგანაც მოგვძულდა ესოდენი დაპირებანი და აღთქმანი! „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა:..“

ყოველ შემთხვევაში, ვიდრე ჩამოყალიბდება ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი სახე და მოეწყობა მისი მართვა-გამგეობა, საქართველოს უზენაეს პოლიტიკურ დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს ეროვნული საბჭო, საქართველოს ეროვნული კრების მიერ არჩეული, რომელშიაც შედიან ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები. თუ დღემდის არ მოგვეპოვებოდა ცენტრი, რომელსაც მზრუნველობა და მფარველობა გაეწია ქართველი ხალხისა და მის მრავალ ჯურის პოლიტიკურ და კულტურულ დაწესებულებათათვის, ამიერიდან ქართველობას დარაჯათ უდგა საქართველოს ეროვნული საბჭო აღმასრულებელი ფუნქციებით. განვლო პოლიტიკურ ავანტიურის დრომ, ახლა ჩვეულებრივ ექსპერიმენტებს ვეღარ მოახდენენ ჩვენზე, ვინაიდან წარმოუდგენელია, რომ საქართველოს შესახებ დღეიდან გამოიკვს კანონები ან განკარგულებანი საბჭოს დაუკითხავად ან და მის სურვილების წინააღმდეგ.

ეროვნულ საბჭოზე ამყარებს თვის იმედებს საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიაც. როგორი დაშოკიდებულებაც უნდა სუფევდეს მომავალში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, რა რიგაც უნდა შეიზღუდოს ეკლესიის გავლენის სფერო, თავის თავად ცხადია, რომ ეკლესიის—როგორც კულტურული კათეგორიის—შინაშენელობა არ მოისპობა და მომავალი ჩვენი კონსტიტუცია ანგარიშს გაუწევს ეკლესიის შინაშენელობას ერის ცხოვრებაში და ამისდა მიხედვით დააკანონებს მის უფლებრივ მდგომარეობას საქართველოს პოლიტიკურ წეს-წყობაში.

ბილგებაში. ეს შემდგენისათვის, რაც შეეხება ბულ პირობებს, უნდა ითქვას, სამწუხაროდ, რომ ცენტრ ლური რევოლიუციური მთავრობა სინოდის მთავრობით ეწინააღმდეგებოდა დღემდე ქართული ეკლესიის უფლებრივ მდგომარეობის განმტკიცებას და აქვეყნებდა აქტებსა და დებულებებს, რომელიც საფსებით გამოხატავს ცენტრალისტ-ბიუროკრატიების სულისკვეთებას და ამახინჯებს ავტოკეფალურ წყობილების დედა-აზრს. საქართველოს ეკლესიის განკარგულებებს ბნელი ძალები ხელს უშლიან, მის საკუთრებას დაჰპატრონებია უცხო ხალხი: მართვა-გამგეობის ორგანოები, სკოლები, მონასტრები და ეკლესიები, კერძო ბინები და თვით კრედიტები—ყველა ეს სხვათა ხელშია. საქართველოს ეკლესია მოკლებულია ყოველგვარ სახსარს და საშუალებას აწარმოოს შემოქმედებითი მუშაობა...

ეროვნულ საბჭოს ზნეობრივ მოვალეობას შეადგენს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ჩვენი ეკლესიის ფრიად გამოურკვეველ მდგომარეობას და დაუყოვნებლივი ზომები მიიღოს, რათა უზურპატორები განდევნილ იყვნენ საქართველოს ეკლესიის დაწესებულებათაგან.

რევოლიუციის მიმდინარეობამ აიძულა ქართველი ერი თავდაცვის გზას დასდგომოდა. სამოქალაქო ომი ანადგურებს რუსეთს, და, მოსალოდნელია, რომ მის ტალღებმა არ დაინდოს ჩვენი ქვეყანაც. საქართველოს ეროვნული საბჭო მიიღებს ზომებს დამლუბველ ტალღების ასაცდენათ. მისი თაოსნობით მოწვეულ იქმნება საქართველოს დამფუძნებელი კრებანი მიზნით, რომ ქართველობა იყოს თავისი ბატონ-პატრონი და გამოსცეს კანონები, რომელიც შეეფერება ქართველი ხალხის ინტერესებს. მანამდის კი ეროვნული საბჭო, იმედია, გადაჭრით მოითხოვს არ იცარცვებოდეს საქართველოს სიმდიდრე, ჩვენი ეკლესიის ქონება უკანასკნელ შემთხვევაში ხომ ისევ ქართველი ხალხის კუთვნილებას შეადგენს, ამიტომ ამ საკითხს ვიწრო კონფესიული ხასიათი არ უნდა მიეცეს, არამედ შევხედოთ მას, როგორც ეროვნულ საქმეს და მისი კეთილად დაგვირგვინებულ ვსცნათ ეროვნულ იდეის გამარჯვებად.

რ. ი.

მამათმთავარნი საქართველოჲს ეკლესიისა*).

ქრთნოლოგიური ნუსხა.

ა) ქართლისა კათოლიკოსნი¹⁾.

I	იოანე I	325 წლიდან.
II	იაკობ I	
III	იობ I	367 წლიდან.
IV	მლია I	
V	სუმეონ I	
VI	მენონ I	
VII	ზრიგოლ I	
VIII	ბასილი I	
IX	მელათე I	
X	იოველ I	
XI	სამოელ I	470—480 წ.
XII	ზიორგი I	
XIII	მიქაელ-ზაბრი- ელ I	493 წლამდე.

მეოთხე საუკუნეში

მესამე საუკუნეში

ბ) ქართლისა კათოლიკოს-პატრიარქნი.

XIV	პეტრე I	493—500 წ.
XV	სამოელ II	
XVI	საბა I მცხეთელი	
XVII	მელათე II	520—530 წ.
XVIII	მაკარი I	
XIX	სუმეონ-პეტრე II	
XX	სამოელ III	541 წლიდან.
XXI	სამოელ IV	

მეექვსე საუკუნეში

XXII	ბართლომე I	591—594, 615—631 წ.
XXIII	ქვიციანი I დიდი	595—615 წ.
XXIV	იოანე II	
XXV	ბაბილა I	
XXVI	თაბორ I	
XXVII	სამოელ V	
XXVIII	მენონ II	
XXIX(?)	პაპა I	
XXX	იზიდ-ბუზიტი I	+704 წ.
XXXI	თაღლე I	704—720 წ.
XXXII	პეტრე III	720—735 წ.

მეშვიდე საუკუნეში

გ) ყოვლისა საქართველოჲსა კათოლიკოს-პატრიარქნი.²⁾

XXXIII	შამაჲ I ზედაზადე- ნელი	735—747 წ.
XXXIV	დიდი იოანე III, მღვდელი	747—760 წ.
XXXV	ზრიგოლ II	+765 წ.
XXXVI	კლემენტოს I	+770 წ.
XXXVII	სარმეან I	+775 წ.
XXXVIII	თაღლე II	+780 წ.
XXXIX	სამოელ VI	780—790 წ.
XL	ქვიციანი II	+800 წ.
XLI	ზრიგოლ III	+810 წ.
XLII	სამოელ VII	+820 წ.
XLIII	ზიორგი II	+830 წ.

რასხს შემდეგში ჩვენსა, ე. ი. არ იყვნენ ხელ-
დასხმის ხელმწიფების მქონე პატრიარქები.

აღსანიშნავია რომ უძველეს პირველწართა
ცნობები—შუშახვის ქართული ცნობებისა და სომ-
ხური „წერილთა წიგნისა“—ეთანხმებიან ქართლის
მთავრების მატეანის მოკვანილ ცნობას: სამოელ I
და კაბრიელ I (ანუ მიქაელ-კაბრიელ), რომელნიც
პირველ ცამეტ მთავარ-იერარქთა რიცხვს ეკუთვნიან,
ამ ძეგლებში შესხუებული არიან კათოლიკოსის
ხარისხით.

2) საქართველოს ეკლესიის მამათმთავრის
იურისდიქცია მერვე საუკუნემდე ვრცელდებო-
და მხოლოდ ქართლზე (ქართლი—კლასიკური ივე-
რია არის, აღმოსავლეთი საქართველო—მესხეთით),
ხოლო ამ დროიდან მოყოლებული ვრცელდება მრთულ
საქართველოზე. იმერეთი, რომელიც ვიდრე აქამომ-
დე კანსტანტინეპოლის პატრიარქის სუბიექტს შე-
ადგენდა, შემოდის სრულიად საქართველოს ეკლე-
სიაში ავტონომიური „აფხაზეთის“ საკათალიკო-
სოს ხარისხით. შემდეგში, არა უადრეს მეცამეტე სა-
უკუნის ნახევრისა, იმერეთის („აფხაზეთის“) სა-
კათალიკოსო დამოუკიდებელი ხდება, ხოლო მე-
თვრამეტე საუკუნის გასულს იგი ხელახლა უერთდებ-
ბა სრულიად საქართველოს ეკლესიას.

* წინამდებარე ნუსხა ამოღებულია ისტორი-
ული ნარკვევისაგან საქართველოჲს ეკლესიის მამათ-
მთავართა შესახებ, სადაც წარმოდგენილია ქრთნო-
ლოგიზაციის ცდა ყველა არსებული მასალების.
ნაშრომი მზადდება გამოსაცემად. რედაქცია.

1) წინამდებარე ჩვენს მწერლობაში მიღებულ
შესწავლებისა, კათალიკოსის ხარისხს ატარებდნ
საქართველოს ეკლესიის პირველი ცამეტი მთავარ-
იერარქებიც, მთავარებისგან განსხვავებით რომ
არაინ ცნობილი. ქართლის მთავრების მატეანეში
(ჭედიშის დედანში) შემდეგი ცნობაა საქართველოს
ამ პირველ მთავარ-იერარქთა ტიტულატურის შესა-
ხებ: „და ესე იყო ქართლის მთავრებისაგან ას სა-
მოელ-და მკათესა წელსა; მამინ გარდაცვალებულ ივე-
ნეს შეუენი ათნი და კათოლიკოსნი ათსამეტინი;
აქამთგან იწყეს კათოლიკოსთა მამათმთავრო-
ბად, [ხოლო] პირველი კათალიკოს[-მამათმთავ-
რი] იყო პეტრე, ვასტანგ შეუისა-ზე“. ამ ცნობი-
დან იხილა სხანს, რომ საქართველოს ეკლესიის
პირველი კათალიკოსნი არ იყვნენ აღჭურვილნი იმ
სრული უფლება-მოსილებით, როგორც ამ ხა-

ქართული
ენების

XLIV	ზაბრიელ II	+ 840 წ.	LXXXIV	გიორგი V	1390—1399 წ.
XLV	ილარიონ I წყაროას- თაველი 840 — 850 წ.		LXXXV	მლიოზ I ¹⁰⁾	1399—1419 წ.
XLVI	დიდი არსენ I, საფა- რელ-ხანძთელი 850 — 877 წ.		LXXXVI	მიქაელ V	1419—1425 წ.
XLVII	მესუქი I	877—907 წ.	LXXXVII	დავით II ¹¹⁾	1425—1428 წ.
XLVIII	ბასილი II	907—936 წ.	LXXXVIII	თეოდორე II	1428—1437 წ.
XLIX	მიქაელ I	936—951 წ.	LXXXIX	დავით III	1437—1439, 1446—1459, 1466—1480 წ.
L	დავით I ³⁾	951—955 წ.	XC	შიო I	1439—1446 წ.
LI	არსენი II	955—980 წ.	XCI	მარკოზ I	1460—1466 წ.
LII	ოქროპირ I	980—990 წ.	XCII	მეგაბრე I	1480—1490, 1500—1503 წ.
LIII	სუმეონ II	990—1000 წ.	XCIII	აბრაჰამ II ¹²⁾	1490—1497 წ.
LIV	მელქისედეკ I	1000—1032 წ.	XCIV	მერემ I	1497—1500 წ.
LV	იოანე IV	1032—1043 წ.	XCV	ლოროთეოს II	1503—1511, 1513—1516 წ.
LVI	ოქროპირ II	1043—1047 წ.	XCVI	დიონისი I	1511—1513 წ.
LVII	მუთიმიოს I ზარ- ზმელი. 1047—1055 წ.		XCVII	ბასილი VI	1516—1532 წ.
LIX	გიორგი III ტაო- ლი ⁴⁾	1055—1065 წ.	XCVIII	მალაქია I	1532—1538, 1547—1548 წ.
LX	ზაბრიელ III სა- ფარელი	1065—1080 წ.	XCIX	მელქისედეკ II ¹³⁾	1538—1543 წ.
LXI	დიმიტრი I	1080—1090 წ.	C	სერმანე I ¹⁴⁾	1543—1547 წ.
LXII	ბასილი III ⁵⁾	1090—1100 წ.	CI	სუმეონ IV	1548—1550 წ.
LXIII	იოანე V დიდი	1100—1142 წ.	CII	შებედე I	1550—1552 წ.
LXIV	სუმეონ III ქუონ- დიდელი ⁶⁾	1142—1146 წ.	CIII	ლოროთეოს III	1552—1557 წ.
LXV	საბა II	1146—1150 წ.	CIV	ლომენტი I	1557—1561 წ.
LXVI	ნიკოლოზ I დი- დი ⁷⁾	1150—1178 წ.	CV	ნიკოლოზ IV ¹⁵⁾	1561—1584 წ.
	(+ 1190 წლ. ახლო)		CVI	ნიკოლოზ V ¹⁶⁾	1584—1594 წ.
LXVII	მიქაელ II	1178—1186 წ.	CVII	ლომენტი II	1594—1610 წ.
LXVIII	თეოდორე I	1186—1193 წ.	CVIII	შებედე II	1610—1612 წ.
LXIX	ბასილი IV	1193—1196 წ.	CIX	იოანე VIII	1612—1616 წ.
LXX	იოანე VI	1196—1210 წ.	CX	პრისტეფორე I ¹⁷⁾	1616—1623, 1638—1660 წ.
LXXI	მპოფანე I	1210—1220 წ.	CXI	ზაქარია I ¹⁸⁾	1623—1632 წ.
LXXXII	არსენი III	1220—1225 წ.	CXII	მედიკოს I ¹⁹⁾	1632—1638 წ.
	(+ 1249 წ.)		CXIII	ლომენტი III ²⁰⁾	1660—1676 წ. ²¹⁾
LXXIII	გიორგი IV	1225—1230 წ.	CXIV	ნიკოლოზ VII ²²⁾	1678—1688, 1691—1695, 1703—1704 წ.
LXXIV	არსენი IV დიდი ⁸⁾	1230—1245 წ.	CXV	იოანე IX ²³⁾	1688—1691,
LXXV	მიქაელ III	1245—1250 წ.			
LXXVI	ნიკოლოზ II ⁹⁾	1250—1282 წ.			
LXXVII	აბრაჰამ I	1282—1320 წ.			
LXXVIII	მუთიმიოს II	1320—1340 წ.			
LXXIX(?)	მიქაელ IV	+ 1350 წ.			
LXXX	იოანე VII	+ 1360 წ.			
LXXXI	ბასილი V	+ 1370 წ.			
LXXXII	ლოროთეოს I	+ 1380 წ.			
LXXXIII	ნიკოლოზ III	+ 1380 წ.			

3) გვარით — დავანხული. 4) ბრლადა. 5) გვარით — კარიჭისძე (ძე დიდის მატრიკის ვახუცი).
6) გვარით — გუგაბრ. სძე. 7) გუგაბრისძე. 8) ბუღ-
მაისიძისძე. 9) საბადრისძე.

10) ბობირასისძე 11) ბაგრატიონი (ძე მეფის
ალექსანდრე I დიდის). 12) აბლაკი. 13) ბაგრატი-
ონი (ძე მეფის კონსტანტინე მე-III-ისა). 14) ბა-
რათაშვილი. 15) ბარათაშვილი. 16) ბაგრატიონი
(ძე ლეონ II კახთა მეფისა). 17) ორდუბეგეშვილი.
18) ჯორჯაძე. 19) დასაშიძე. 20) ბაგრატიონი (ძე
ქახოსისძე მუხრან-ბატონისა). 21) დომენტი III-ის
გარდაცვალების შემდეგ ვიდრე ნიკოლოზ VII-ს
კათოლიკოსად ამორჩევამდე კათოლიკოსის მოსაყდ-
რე იყო არქიმანდრიტი ნიკოლოზ (მალაქაძე). 22)
ამილახერი. 23) დასაშიძე.

	1695—1700 წ.
CXVI მედემოს II ²⁴)	1700—1703 წ.
CXVII ლომენტი IV ²⁵)	1705—1729, 1735—1741 წ.
CXVIII ბესარიონ I ²⁶)	1729—1735 წ.
CXIX ნიკოლოზ VIII ²⁷)	1741—1744 წ.
CXX ანტონ I დიდი ²⁸)	1744—1758, 1763—1788 წ.
CXXI იოსებ I ²⁹)	1758—1763 წ.
CXXII ანტონ II ³⁰)	1788—1811 წ.
(+ექსპორიობაში 1827 წ.)	
(1811 წლიდან ვიდრე 1917 წლამდე დაუქმებულ ყოფიანთაგან სპეციალურად ეკლესიის).	
CXXIII კირიონ II.	1917 წლიდან.

პ. ინგოროვი

ღვთის-მსახურება და საეკლესიოება.

(მოსახლება, წავითხელი სრულიად საქართველოში
1917 წლის სექტემბერ კრებაზე).

საქართველოს ეკლესიას, როგორც წევრს აღმოსავლეთის მართლმადიდებლობითი ეკლესიისას, აქვს მეტად რთული და ვრცელი რიტუალი, ე. ი. ღვთის-მსახურების წეს-რიგი. ჩვენი ღვთის-მსახურება იმდენად ვრცელია, რომ ძნელად თუ ვინმე მოიპოვება ისეთი, რომელმაც შესძლოს ტიბიკონისებური ლოცვა ბოლომდის მოისმინოს. დღევანდელი ტიბიკონი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს ღვთის-მსახურებას, არის სამონასტრო, ის დანიშნულია ბერ-მონაზონთათვის, რომელნიც სულ სხვა პირობებში იმყოფებიან, ვიდრე ყოველდღიურ კირ-ვარამში ვართული და ათასგვარ ზრუნვით შეპყრობილი ადამიანი. აღსანიშნავია რომ ტიბიკონისებური ღვთის-მსახურება მონასტრებშია და არ არის რეალურად დღეს, მხოლოდ ძველს ათონზე სკლილობენ ბერები იმის სიარულით და ცვას და აღსრულებას, და იქ ლამისთვეითი ლოცვა, მაგალითად, ღამისთვეა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. თუ მონასტრებშია ცივი ვერ ახერხებენ ტიბიკონის შესრულებას, განა შესაძლოა ის ასრულდეს სოფლად? ცხადია რომ არა, და ეს გარემოება-კი მორწმუნე

ადამიანს უკარგავს სულის სიმშვიდეს, გან იმას ჰგონია, რომ რაღაცა დანაშაულობას სჩადის, როდესაც ბოლომდის ვერ ისმენს ღვთის-მსახურებას, ან ისე ვერ ისმენს, როგორც ჯერ არს. ამისათვის საჭიროა ღვთის-მსახურება შემოკლდეს და განმარტივდეს ისე, როგორც ეს შეეფერება დღევანდელ პირობებში მყოფ მორწმუნე ადამიანის ცხოვრებას.

საკითხავია, რამდენადა გვაქვს ჩვენ ასეთი განმარტივებისა და შემოკლების უფლება. ვინც ჩვენი ეკლესიის რიტუალის ისტორიას გასცნობია, მან იცის, რომ ღვთის-მსახურება მეტად ცვალებადია. მოციქულებიდან მოყოლებული ის დროთა განმავლობაში თანდათან იცვლებოდა, ვიდრე დღევანდელი სახე არ მიიღო. ჩვენ რომ შევდაროთ მაგალითად უძველეს დროის და ეხლანდელი კურთხევანი, დავინახავთ, რომ ის წესები, რომელთა შესრულებას ეხლა საათობით სჭირია დრო, ძველს რედაქციებში განისაზღვრება მხოლოდ რამოდენიმე ლოცვით. ავიღოთ თვით წირვის წესი: იმისი მოციქულთა დროინდელი უცვლელი დედაფუძე არის ეგრედწოდებული „საეკლესიო კანონი“, დანარჩენი ნაწილი-კი ცვალებადია ჩვენ ვიცით, რომ იაკობ მოციქულის ჟამის წირვა, მეტად გრძელი და ვრცელი, შეამოკლა ბასილი დიდმა, ხოლო ამ უკანასკნელის იოანე ოქროპარმა. აქედან ნათლად სჩანს, რომ პრინციპი ცვალებადობისა ჩვენი ეკლესიისათვის უცხო არაა. ეს რომ ასე არ იყოს, ისტორიაში ხომ ადგილი არ ექნებოდათ წმიდა საფლავისა, სპონდიელთა მონასტრისა, სოფია წმიდისა, სტოდელთა მონასტრის, მთაწმიდელთა და საბაწმიდის ტიბიკონებს, რომელნიც თავიანთ ელფერს აძლევდნ ღვთის-მსახურებას, შესაფერ წესებს თხზავდნ და თავიანთად აუღიბებდნ საეკლესიო წიგნებს.

როდესაც ლაპარაკია ღვთის-მსახურების და საზოგადოთ ტიბიკონის განმარტივებაზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღევანდელი ტიბიკონი სრულიად მოსპობილ იქმნეს; ის შეძლება დარჩეს იმათთვის, ვისთვისაც დანიშნულია და ვისაც შეძლება აქვს უფრო სისრულით შეინახოს ის, სახელდობრ მონასტრებში. შეიძლება შენახულ იქმნეს ის აგრეთვე საკათედრო ტაძრებში, სადაც სამღვდელთმთავრო ღვთის-მსახურება სრულდება ხოლმე, რაც შეეხება სამრევლო ტაძრებს, კი იგი შემოკლებულ უნდა იქმნეს. ამისი მაგალითი ისტორიაშიც გვაქვს. კონსტანტინოპოლის „დიდ ეკლესიას“, ეგრედწოდებულ „აი-სოფიას“, სადაც პატრიარქი „საზემო“ ღვთის-მსახურებას ასრულებდა ხოლმე, თავისი ტიბიკონი ჰქონდა, უფრო

²⁴ დავსამიძე. ²⁵ ბაგრატონი (ქე ლევან ქართლის მმართველის). ²⁶ არბელაინი. ²⁷ ხერხეულიძე. ²⁸ ბაგრატონი (ქე მეფისა იესე I-ისა). ²⁹ ჭანდოკრა. ³⁰ ბაგრატონი (ქე მეფისა ირაკლი II-ისა).

ეროვნული
ივერჯინის

ვრცელი და რთული, ვიდრე სამრევლო ეკლესიებს; ეს უკანასკნელი ზოგად მიღებული ტიპიკონს სოფლის ცხოვრებას და მოთხოვნებს უფარდებდნენ.

რასაკვირველია, რიტუალის განმარტივების საქმე მთავარმა საეკლესიო ორგანომ უნდა იკისროს; შეუძლებელია ის კერძო პირთა საწვალეობად გადაიქცეს. ამისთვის უთუოდ საჭიროა აღმოსავლურ ეკლესიათა თანამედროვე ლიტურგიული პრაქტიკის ცოდნა, ღვთის-მსახურების ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით გაშუქება, იმისი არსებითი ნაწილების უმნიშვნელოთაგან გარჩევა, სიტყვით აქ საჭიროა წმინდა სამეცნიერო ძიება. ერთად-ერთი კომპეტენტი ორგანო, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს ამ საქმეს მეცნიერ-სპეციალისტთა საგანგებო კომისის საშუალებით, არის საკათოლიკოზო საბჭო.

ერთი მთავარი საკითხთაგანია აგრეთვე თუ რა ანბანით უნდა იბეჭდებოდეს საღვთის-მსახურო წიგნები. ჩვენს ეკლესიაში თავიდანვე მიღებულია საღვთის-მსახურო წიგნების საბეჭდად ეგრედწოდებული „ხუცური“ ანბანი. ამას, რასაკვირველია, თავისი ისტორიული მიზეზი აქვს. პირვანდელი უძველესი ანბანი ქართული მწერლობისა, როგორც ეხლა დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ქართულ პალეოგრაფიაში, არის „ხუცური“, რომლიდანაც თანდათანობით მხედრული განვითარდა. პირველად „ხუცური“ ანბანით იწერებოდა არა თუ საღვთო და საეკლესიო წიგნები, არამედ საერო ხასიათის ნაწარმოებებიც. მხედრულის გაბატონების შემდეგ „ხუცური“ საეკლესიო ანბანად დარჩა, თუმცა, უნდა ვსთქვათ, მეორეხარისხი საუკუნეში უკვე საეკლესიო წიგნების წერაც იწყეს მხედრული ანბანით. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ხუცური ღღეს ყველასათვის ხელმისაწვდომი არაა და მხედრულთან შედარებით უფრო ძნელი საკითხავია, უნდა ვაღვიაროთ, რომ არაფიარებელია არ წარმოადგენს საღვთის-მსახურო წიგნების ხუცურად ბეჭდვა და დროა ეკლესიაშიაც მხედრული ანბანი შემოვიღოთ ხმარებაში. ბევრი მორწმუნე ქართველი იქნება ისეთი, რომელსაც საეკლესიო წიგნების წაკითხვა სწყურია, მაგრამ „ხუცურის“ უცოდინარობა უშლის ხელს. რათ უნდა დაუხშოთ მას კარი მაღალ პოეზიით და გრძნობით აღსავსე საღვთისა? უნდა გვახსოვდეს, რომ ამგვარ მოვლენას ადგილი აქვს მხოლოდ საქართველოს ეკლესიაში და აგრეთვე რუსეთისაში, სადაც საეკლესიო წიგნები „სლავური“ ანბანით იბეჭდება; სხვა ეკლესიებში კი, მაგალითად საბერძნეთისაში,

სომხებასაში,— ყველგან ერთი და იგივე ანბანით ხმარებაში.

საღვთის-მსახურო წიგნების გამოცემის დროს უნდა მიექცეს აგრეთვე ყურადღება ზოგიერთ მეტად დაძველებულ ფრაზებისა და წინადადებათა განმარტივებას და თანამედროულად და უფრო გასაგებად გადმოკეთებას. თვით ლიტურგიის წესში ჩვენ ვხვდებით ისეთ ადგილებს, რომელთა გაგება მეტად ძნელია არამც თუ უბრალო მსმენელისათვის, არამედ ცოტად თუ ბევრად ძველს მწერლობაში დახელოვნებულისათვისაც. ავიღოთ, მაგალითად, „რომელი ქერობინთა“-ს მეორე ნაწილი: „და ვითარცა მეუფისა ყოველთასა შემწყნარებელსა ანგელოზთაებრ უხილავად, ძღვის შემწირველთა, წესთასა, აღილულია“. — ეს საქმეც, რასაკვირველია, იმავე საკათოლიკოზო საბჭოს კომპეტენციას უნდა მიენდოს.

* *

ერთ-ერთი მთავარი მორიგ საკითხთაგანია აგრეთვე ჩვენი სამღვდლოების ჩაცმულობა. სამღვდლოება თავისი განსაკუთრებული ტანისამოსით განსხვავებული და გამოთიშულია ღღეს თავის სამწყსოადაგან. სამღვდლოების ეს ჩაცმულობა, ანაფორა-კაბები გამოძღუვდა განსაკუთრებით აღმოსავლეთის ეკლესიაში, უფროკი რუსეთში, სადაც თითქმის ყველა წოდებას და ყოველგვარ პროფესიას თავისი ფორმა ჰქონდა მიჩემებული. დასავლეთ ევროპაში ეს ასე არ არის. იქ არამცთუ ადგილობრივი მღვდელმსახურნი, არამედ მართლმადიდებელი სამღვდლოებაც ჩვეულებრივს საერო ტანისამოსს ატარებს ხოლმე. აქ საჭირო არაა შეჩერება იმაზე, თუ რა უხერხულობას შეიცავს სამღვდლოების გამოთიშვა მორწმუნეთა კრებულისაგან ამ განსაკუთრებული ტანისამოსით, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, აქ შეეჩერდებით მხოლოდ საკითხზე, შესაძლებელია თუ არა სამღვდლო პირებმა გარეშე საღვთის-მსახურო ადგილისა ჩაიცვას ჩვეულებრივი საერო ტანისამოსი, ყოველი მოქალაქე რომ ატარებს.

თუ ისტორიულად შევხებით ჩვენ ამ საკითხს, დავინახავთ, რომ განსაკუთრებული ტანისამოსი სამღვდლო პირთათვის შემდეგი დროის ნაყოფია, თავდაპირველად მღვდლები ტანისამოსით და გარეგნობით სრულიადაც არ განირჩეოდნენ თავიანთ სამწყსოადაგან, ისინი ისეთსავე ტანისამოსს ატარებდნენ, რასაც სხვები. საისტორიო და საარქეოლოგიო კვლევა-ძიება ამ საკითხზე შემდეგ პასუხს იძლევა. თავდაპირველად სამღვდლოება ეკლესიაში, ღვთის-მსახურების დროს, და ეკლესიის გარეშე, სახლ-



ში, ერთსა და იმავე ტანისამოსს ატარებდა, ეს ტანისამოსი კი არაფრით არ განიჩეოდა იმ ტანისამოსისაგან, რომელიც ეცვათ საერო პირთ ძველს რომსა და საბერძნეთში. ძველი რომაელები ატარებდნენ გრძელსა და სრულ ტანისამოსს, რომელსაც ერქვა ტუნიკა ანუ ხიტონი, ბერძნულად სტიქარიონი, პალლიუმი ანუ იმატიონი, გინა თუ ჰენულა, ბერძნული გამოთქმით ფელონიონ; პირველი ამათვანი არის პროტოტიპი ჩვენი დროის სტიქარისა, მეორე კი ფილონისა. ის, რასაც ჩვენ დღეს ვეძახით გინგილას (მღვდლის გინგილას ოლარიქვია), რომში ცნობილი იყო „ორარის“ სახელით და წარმოადგენდა გრძელს და ფართო სელის ლენტს, რომელსაც ბეჭვებ ატარებდნენ პირისა და სახის მოსაწმენდად. პირველი ექვსი საუკუნის განმავლობაში სამღვდლოებას ამავე ტანისამოსს ჰხმარობდა ეკლესიაშიც და ეკლესიის გარეშე, ასე რომ ტანისამოსით ის არ განიჩეოდა საერთაგან. მეშვიდე საუკუნიდან-კი საქმე შეიცვალა.

მეექვსე საუკუნეში რომში ფეხი მოიკიდებოდა გერმანულმა კულტურამ, რომელმაც თან მოიტანა მოკლე გერმანული სამხედრო ტანისამოსი. ვინაღდან ეს ტანისამოსი უფრო ადვილი სახმარებელი იყო და თან ხელმისაწვდენიც, მასამ ადვილად და ძალიან მალე გადაიღო ის. სამღვდლოებამ კი, როგორც უფრო კონსერვატიულმა ელემენტმა, ამ ახალს, ბარბაროსულ ტანისამოსს ზურგი აქცია და ისევ ძველებური გრძელი და სრული ტანისამოსი შეინარჩუნა. ამნაირად, მეშვიდე საუკუნიდან თავი იჩინა განსხვავებამ სამღვდლო და საერო ტანისამოსს შორის. მეცხრე საუკუნემდე სამღვდლოება ღვთის-მსახურების დროს და შინაურ ცხოვრებაში ერთსა და იმავე ტანისამოსს ატარებდა. მეცხრე საუკუნიდან საეკლესიო ცხოვრებამ აღმოსავლეთში, საბერძნეთში, სპეციფიური ორთოდოქსალური ელფერი მიიღო და ამ მოვლენამ თავისი ბეჭედი სამღვდლო ტანისამოსსაც დაასვა. საბერძნეთში ამ დროიდან ხმარებაში შემოდის გრძელი, ჩვენებური ახალუხის მსგავსი, ტანისამოსი, რომელსაც „კაბადიონს“ უწოდებდნენ; ამ „კაბადიონს“ იცვამდნენ როგორც საერონი, ისე სამღვდლონი ეკლესიის გარე, ოჯახურს ცხოვრებაში, ეკლესიაში-კი, ღვთის-მსახურების დროს, ძველებური რომაულ გრძელსა და სრულს ზემოთნახსენებს ტანისამოსს ჰხმარობდნენ. ამ ნაირად მეცხრე საუკუნიდან თავი იჩინა განსხვავებამ სამღვდლოთა საღვთის-მსახურო და საოჯახო ტანისამოსში. „კაბადიონი“ რომელსაც სამღვდლოება იცვამდა, გადმოღებულ იქნა ჩვენშიაც

და შეიქნა ჩვენებური სამღვდლო პირთა „კაბის“ პროტოტიპად. რაც შეეხება „ანაფორას“, ეს გარეგანი ფორმით იგივე კაბაა, მხოლოდ მის ზევით ჩასაცმელი; ეს თვითონ სახელწოდებიდანაც სჩანს: ანაფორა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ზემოდან სატარებელს“. ჩვენში რომ სამღვდლოება ტანისამოსით საერთაგან არ განიჩეოდა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ჩვენებური ჩოხა-ახალუხი, წარმოადგენს განვითარებას ბერძნული „კაბადიონისა“, რომელიც, როგორც აღნიშნული იყო, სამღვდლო პირთა ტანისამოსად იქცა. ჩვენში მართლაც ხშირად სამღვდლო ტანისამოსს ჩოხას ეძახდნენ. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ბერების ტანისამოსს; რომელიც არაფრით არ განსხვავდება სამღვდლო პირთა ტანისამოსისაგან, არამც თუ ძველად, ეხლაც ხშირად ეძახიან ჩოხას. ამნაირად, როგორც რომსა და საბერძნეთში, ისე საქართველოშიაც სამღვდლო ტანისამოსი არაფრით არ განსხვავდებოდა საერთო ტანისამოსისაგან; თუ ეს ასე იყო ყოველგან ძველად, არც ეხლა იქნება რაიმე განსაკუთრებული, სამღვდლოებამ რომ იგივე ტანისამოსი ატაროს, რაც საზოგადო ხმარებაშია.

გარდა ტანისამოსისა სამღვდლოება განიჩეოდა საერთაგან გრძელი თმებით; ვერც ისტორიაში, ვერც საეკლესიო კანონებში ჩვენ ვერ ვიპოვნით გრძელი თმების ტარების გასამართლებელ საბუთებს, პირიქით, აქ ყველგან აკრძალულია გრძელი თმების ტარება. ქრისტიანობის პირველ ხანაში, მოციქულების დროს, გრძელი თმების ქონა დიდ სირცხვილად იყო მიჩნეული. მოციქული პავლე ამბობს: „მამაკაცმან თუ გარდაუტეოს თმა გრძელად, უშუერებაა არს მისა“ (1 კორ. XI, 14); იოანე ოქროპირი, ეპიფანე კვპრელი, ნეტარი იერონიმე, თეოდორე სტოდიელი და სხვები ერთხმად აღუკრძალავენ საღვდლო პირთ, თითონ ბერებსაც-კი, გრძელი თმების ტარებას, ვინაიდან გრძელი თმების ტარება წარმართებას სჩვევიათო. „მოციქულთა დადგენილებანი“ აგრეთვე აღუკრძალავენ გრძელ თმების დაყენებას, რასაც ისინი მეძავთა და მემრუშეთა თვისებად სთვლიან. მეშვიდე საუკუნეში არამც თუ გრძელს თმებს არ იყენებდნენ, პირიქით ჩვეულებაში შემოვიდა თავისი კეთაზე მრგვლივ თმებს გამოპარსვა. ასეთი პრაქტიკის მომგონებელია ეხლა მღვდელთმთავრების მიერ წიგნი-მკითხველად კურთხევალის აღკვეცა. მეექვსე მსოფლიო კრების 21 და 42 კანონი მოითხოვს მღვდლებისა და ბერებისაგან, რომ იმათ თმები აღიკვეცონ თუ მღვდლად და ბერად დარჩენა უნდათ. ამასვე ამოწმებენ პატრიარქი გერმანე

(VIII საუკუნე), პატრიარქი პეტრე ანტიოქიელი (XI ს.), ვალსამონი (XII ს.), სვიმეონ სოლუნელი (XV ს.) და ეგრედწოდებული პიდალიონი (კანონთა განმარტებანი), რომელიც 1800 წელს გამოიცა საბერძნეთში. ამნაირად, გრძელი თმების ტარება ძველად არამტუხ სავალდებულო არაა, პირიქით, როგორც დავინახეთ, აკრძალულიც კი არის. მაშასადამე ეხლაც სავალდებულო არ უნდა იყოს სამღვდლო პირთათვის გრძელი თმების დაყენება. თვით მათ სურვილზე უნდა იყოს დამოკიდებული როგორ თმებს ატარებენ ისინი: გრძელსა თუ მოკლეს, შეკრეკილს.

ღ ე ბ უ ჯ ე ბ ა ნ ი :

1) საჭიროა ჩვენი ღვთის-მსახურება განზარტივდეს, ცხოვრებას დაუხანოვდეს და, შეძლებისდაგვარად, შინაარსით და ფრაზეოლოგიით საშველო მლოცველ-მორწმუნეთათვის ვასაგები იყოს. ამის მოსაგვარებლად საკათოლიკოზა საბჭოსთან უნდა დაარსდეს განსაკუთრებული „საღვთის-მსახურო კომისია“.

2) საღვთო და საეკლესიო წიგნების საბეჭდავად უნდა შემოღებულ იქმნეს მხედრული ანბანი, ვინაიდან ამ შემთხვევაში ეს წიგნები ფართო მასისათვის უფრო ხელმისაწვდენი იქნება.

3) კრებულის წევრთათვის სავალდებულო არ უნდა იყოს ეკლესიის გარეშე ანაფორის ტარება: სურვილისამებრ მათ შეუძლიათ სერო ტანისამოსი ატარონ.

4) მათთვის არც გრძელი თმებისა და წვერის ტარება უნდა იყოს სავალდებულო, ესეც კერძო სურვილზე უნდა იყოს დამოკიდებული.

დ. ა. კეკელიძე.

ს ი ტ ყ ვ ა

თქმული მათის უწმიდესობის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის **პირიონ II**-ის მიერ განსვენებულ თ. ჟორდანიას საფლავზე, დიდებუმი 22 ღვინობისთვის, კარდაცვალების წლის თავზე.

ძმაო, ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო თელო!

ექვსი წელიწადი ვსწავლობდით სემინარიაში ერთად და შემდეგ აკადემიის გათავებისა სხვა და სხვა ასპარეზზედ მოგვიხდა სამსახური: შენ—საყვარელ სამშობლოში, მე კი—უცხოეთში. აქედან იწყება ჩვენი მოღვაწეობა სამშობლო ეკლესიის აღსადგენად. ისეთი ძნელი დრო იყო მაშინ, რომ ავტოკეფალიაზედ მხოლოდ ჩურჩულით შეგვეძლო ლაპარაკი. გამოგვიჩნდა რუსეთში ღვთისნიერი და პატრიო-

ოსანი ადამიანი ნ. ნ. ლურნოვი, რომელიც უშიშრად ქადაგებდა ჩვენს ეკლესიის ავტოკეფალიაზედ. ჩვენც ამოვუღვეით მას გვერდში და შევეუღვეით საქმეს. არავის ეგონა, რომ ლურნოვი რუსი იყო. ფიქრობდნენ, რომ მე ჩემი გვარი (სამგლიშვილი) რუსულად გადავთარგმნე და მე მაწერდნენ მის სტატიებს. 32—33 წელიწადი ვიღვაწეთ ერთად და აი ვედირსენით იმას, რასაც მოუთმენლად მოელოდნენ ჩვენი წინაპარნი. შენ, ერთგულო მამულიშვილო, ისე ჩახველ საფლავში, რომ ვერ გაიგონე თავისუფლების ხარი, მაგრამ გვწამს, რომ შენი სული ჩვენთან ერთად არის დღევანდელ დღეს; შენც გედო არა მცირე ღვაწლი ამ დიდ საქმეში, შენც შეგასვეს ფიალი სიმწრისა.

იყო ერთი მორწმუნე კაცი, რომელიც 70 წელიწადზე მეტს ხანს სჩიოდა, რომ დაებრუნებინა თვისი სასაფლაოს საგვარეულო ეკლესია. მოხუცდა და იგრძნო რა, რომ მის სიცოცხლეში საქმე ვერ გათავდებოდა, ანდერძად დაავლო—საფლავში ჩაეძახნათ მისთვის საქმის დაბოლოება. თხოვნა აღსრულეს. მეც ამ მორწმუნე მოხუცის ანდერძის მიბაძვით ჩამოვძახებ საფლავში: ვინაროდეს, ერთგულო მუშაკო საქართველოს ორნატა ზედა, ჩვენი დილის ხნის ნატვრა ასრულდა: აღსდგა კვლავ საქართველოს ეკლესია! აუწყე ჩვენთა წინაპართ, რომ ვსუნთქავთ თავისუფალ ეკლესიაში, მაგრამ კიდევ დიდ გაჭირებას განვიცდით. დაგვეხმარონ თვისის ლოცვითა და მეოხ გვექმნენ. ჩვენც, ძმანო, მაგრად ვსდგეთ ჩვენ თავისუფალ ეკლესიისათვის და ვცადნეთ ჩვენი სამშობლო ეკლესია კვლავ ისე აყვავდეს, როგორც უწინ ბრწყინავდა ჩვენთა წინაპართა დროს, ღმერთო, შენით! ამინ.

ქ რ ო ნ ი კ ა .

◆ 19 ნოემბერს ტფილისში შესდგა საქართველოს ეროვნული ყრილობა. ყრილობის მუშაობა ხუთ დღეს გაგრძელდა. ყრილობამ იქონია მსჯელობა საქართველოს საკითხზე, აღიარა საქირება საქართველოს სრული პოლიტიკური თვითმმართველობისა რუსეთის საზღვრებში, და გამოიმუშავა მრთელი რიგი რეზოლუციებისა მიმდინარე საკითხების შესახებ, რომელთა ცხოვრებაში გატარება დაევალა ეროვნულ საბჭოს, არჩეულს იმავე ყრილობაზე. ყრილობას დაესწრო საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი, რომელმაც წაიკითხა მათი უწმიდესობის პატრიარქის კირიონის გუჯარი ეროვნული ყრილობისადმი.

დრებით რედაქტორი პ. ინგოროყვა.